

ბავშვობის ნეგატიური ან/და ტრავმული გამოცდილების გავლენა ადამიანის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე და მის ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე

თამრიკო ფუტყარაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა „ფსიქიკური ჯანმრთელობა“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ფილაური

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განცხადება

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილი მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამრიკო ფუტყარაძე

26.06.2019

აბსტრაქტი

ინდივიდის ბავშვობის ტრავმულ გამოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი მომავლის განსაზღვრისთვის. ბავშვობის ტრავმა, ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ზრდასრული ადამიანის ფიზიკურ, ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, მის კეთილდღეობაზე და ცხოვრების ხარისხზე. ნაშრომში წარმოდგენილია სტუდენტების მონაცემები მათი ბავშვობის ნეგატიური გამოცდილების, კეთილდღეობისა და ყოველდღიური ფუნქციონირების, კერძოდ კი სწავლასთან დაკავშირებული ქცევის შესახებ. კვლევის რესპოდენტად შეირჩენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები (18-23წ). კვლევაში მონაწილეობდა $n=309$ ინდივიდი, მათი საშუალო ასაკი $m= 20,12$. კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს ბავშვობის ნეგატიური ან/და ტრავმული გამოცდილების გავლენა ინდივიდს კეთილდღეობაზე და მის ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე. რესპოდენტთა თითქმის ნახევარს 139-მა (45%)-ს აქვს ნეგატიური გამოცდილება ბავშვობაში, ხოლო ნახევარზე მეტს 170-ს (55%) არ აქვს ბავშვობის ტრავმული გამოცდილება. კვლევამ ცხადყო, რომ ნეგატიური ან/და ტრავმული გამოცდილების შედეგი მნიშვნელოვნად ცვლის ადამიანის ცხოვრებას და ეს ცვლილები მრავალფეროვანია - ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელება, ცხოვრების ხარისხი, კეთილდღეობა და ფუნქციონირება.

საკვანძო სიტყვები: ბავშვობის ნეგატიური გამოცდილება, ტრავმული გამოცდილება ფსიქიკური ჯანმრთელობა, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა, სწავლასთან დაკავშირებული ქცევა.

Abstract

The adverse childhood experience has huge influence and importance for the future development. Childhood trauma experience has a negative influence on a physical and psychological situation, on the well-being and the functioning. The research presents the bases of students, their negative experience in childhood, the behavior about studying and daily functioning. The research respondents were the students of Ilia State University (ages 18-22). In the research took part 309 participants whos the average age was $m=20.12$. The main aim of this research was to find out and investigate the negative or/and trauma childhood experience and what is its influence on them. Half of the respondents (approximately 139 (45%)) had the adverse childhood experience in their life and half of them absolutely (approximately 170 (55%)) didn't. The result of research was that effects of the negative or/and trauma childhood experience can change the person's life and these changes are parsed –physical and psychological, the well-being and the functioning.

მადლობა

მინდა მადლობა გადაუხადო მოცემული ნაშრომის შესრულებაში გაწეული დახმარებისთვის, მხარდაჭერისთვის ჩემი ნაშრომის ხელმძღვანელს. მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანის თანაშემწეებს და ლექტორებს, რომლებმაც ნება დამრთეს ჩამეტარებინა კვლევა. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით კვლევის მონაწილეებს - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს.